STUDY OF STRESS STRAIN STA`TE OF SPONGY BONE AROUND IMPLANT UNDER OCCLUSAL LOAD

Natela Zirakashvili
I. Javakhishvili Tbilisi State University, I.Vekua Institute of Applied Mathematics, Tbilisi, Georgia, natzira@yahoo.com

The main purpose of this work is mathematical modeling and study of stress-strain state of spongy bone of the jaw with implant. Spongy bone may be considered as a multiporous medium where fractures and intervening porous blocks are the most obvious components of the dual-porosity system [1]. The spongy bone consists of solid and liquid phases. The paper, in the solid phase, presents the equations, which describe of the effect of fluid pressure on the solid deformation within each individual component and in the fluid phase, a separate equation written for each component of distinct porosity or permeability [2]. This paper studies the stress-strain state of the spongy bone of the jaw near the implant in the case of occlusal load. Mathematical model of this problem represents a contact problem of elasticity between the implant and the body of the jaw. Boundary element methods, which are based on the solutions to the problems of Flamant (BEMF) and Boussinesq (BEMB), are used to obtain numerical values of stresses in the bone tissue under the occlusal load on the implant. There are considered cases, when the diameter of implant is equal to 0.4 cm, 0.6 cm, 0.8 cm and 1 cm. The contours (isolines) of stresses in the bone tissue are constructed and the results, obtained through BEMF and BEMB for the implants with different diameters, are compared with each other.

References

1. Aifantis E.C. On the problem of diffusion in solids. Acta Mech., **37** (1980), 265-296.

2. Mao Bai, Derex Elsworth, Jean-Claude Roegiers: Multiporosity\Multipermeability Approach to the Simulation of Naturally Fractured Reservoirs. Water Resources Research, **29** (6) (1993), 1621-1633.

ილია ვეკუას ცხოვრება, მოღვაწეობა და სამეცნიერო მემკვიდრეობა

გიორგი ჯაიანი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი &
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი
george.jaiani@gmail.comyge

მოხსენება ეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, მსოფლიოში აღიარებული მათემატიკოსისა და მექანიკოსის, აკადემიკოს ილია ვეკუას ცხოვრების, სამეცნიერო-ორგანიზაციული და პედაგოგიური მოღვაწეობისა და სამეცნიერო მემკვიდრეობის მოკლე მიმოხილვას. მოხსენება მომზადდა მისი დაბადებიდან 110 წლისთავთან დაკავშირებით.

ი. ვეკუას მეთოდის განვითარების შესახებ დრეკადი სტრუქტურების იერარქიული მოდელების ასაგებად

გია ავალიშვილი*, მარიამ ავალიშვილი**
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, თბილისი, საქართველო, gavalish@yahoo.com
**საქართველოს უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო, mavalish@yahoo.com

წარმოდგენილ მოხსენებაში მოყვანილია შედეგები ი. ვეკუას განზომილების რედუქციის მეთოდის, მისი გავრცელებების და განზოგადებების გამოყენების შესახებ დრეკადი სტრუქტურების იერარქიული მოდელების ასაგებად. ი. ვეკუას მიერ [1] ნაშრომში აგებული იყო ორგანზომილებიან მოდელთა იერარქია წრფივი დრეკადი ერთგვაროვანი ცვალებადი სისქის ფირფიტებისათვის. ამ ნაშრომში სამგანზომილებიანი მოდელის შესაბამისი განტოლებების გამრავლებით ლეჟანდრის პოლინომებზე ფირფი-

ტის სისქის x_3 ცვლადის მიმართ, მათი ინტეგრებით და გადაადგილების ვექტორ-ფუნქციის, ძაბვის და დეფორმაციის ტენზორების კომპონენტების გაშლით ფურიე-ლეჟანდრის ორთოგონალურ მწკრივებში x_3 ცვლადის მიმართ და მწკრივების კერძო ჯამების განხილვით აგებული იყო ფირფიტის ორგანზომილებიან მოდელთა იერარქია. შევნიშნოთ, რომ კლასიკური კირხჰოფ-ლავის და რეისნერმინდლინის მოდელები შეიძლება ჩაიდგას ი. ვეკუას მიერ მიღებულ იერარქიაში ისე, რომ ისინი შეიძლება განვიხილოთ როგორც ფირფიტის გავრცელებული საინჟინრო მოდელების დაზუსტება. ფირფიტებისა და გარსების ი. ვეკუას მიერ აგებული მოდელები მოყვანილია მის მონოგრაფიაში [2].

ი. ვეკუას მიერ აგებული მათემატიკური მოდელების გამოკვლევის პირველი შედეგები მიღებული იყო დ. გორდეზიანის მიერ [3, 4], სადაც დამრეცი ზოგადი გარსების სტატიკური ორგანზომილებიანი მოდელები გამოკვლეული იყო სობოლევის სივრცეებში და კლასიკურ საკმარისად გლუვ ფუნქციათა სივრცეებში შესწავლილი იყო ურთიერთკავშირი სტატიკურ სამგანზომილებიან მოდელსა და ორგანზომილებიან მოდელებს შორის ერთგვაროვანი იზოტროპული წრფივი დრეკადი მუდმივი სისქის ფირფიტების შემთხვევაში. შემდგომში, ვარიაციული მიდგომის და ი. ვეკუას იდეის და მისი განზოგადების [5] გამოყენებით ფირფიტების და გარსების ორგანზომილებიანი და ძელების ერთგანზომილებიანი სტატიკური და დინამიკური მოდელები აგებული და გამოკვლეული იყო კლასიკური წრფივი დრეკადობის თეორიის, თერმოდრეკადობის, ნარევთა თეორიის, მიკროტემპერატურებიანი თერმოდრეკადობის და თერმოდრეკადობის არაკლასიკური თეორიების ფარგლებში. ფირფიტების, გარსებისა და ძელებისათვის განზომილების რედუქციის ალგორითმების გამოკვლევისას მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით აგებული და გამოკვლეული იყო სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის მქონე ნაწილებისაგან შედგენილი დრეკადი მულტისტრუქტურების პლური-განზომილებიანი იერარქიული მოდელები.

მადლობა. კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [217596, თერმოდრეკადი პიეზოელექტრული სტრუქტურების იერარქიული მოდელების აგება და გამოკვლევა].

ლიტერატურა

1. Vekua, I.N.: On a way of calculating of prismatic shells, Proc. A. Razmadze Inst. Math. Georgian Acad. Sci., **21** (1955), 191-259 (Russian).
2. Vekua, I.N.: Shell theory: General methods of construction, Pitman Advanced Publishing Program, Boston, 1985.
3. Gordeziani, D.G.: On the solvability of some boundary value problems for a variant of the theory of thin shells, Dokl. Akad. Nauk SSSR, **215** (1974), 6, 1289-1292 (Russian).
4. Gordeziani, D.G.: To the exactness of one variant of the theory of thin shells, Dokl. Akad. Nauk SSSR, **216** (1974), 4, 751-754 (Russian).
5. G. Jaiani, On a mathematical model of bars with variable rectangular cross-sections, ZAMM, **81** (2001), 3, 147-173.

ზოგიერთი ამონახსნის აგება სიცარიელის მქონე სხეულებისათვის

ლამარა ბიწაძე
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, lamarabitsadze@yahoo.com

მოხსენება ეძღვნება დრეკადობის თეორიის კვაზისტატიკის განტოლებებს სიცარიელის მქონე სხეულებისათვის. მიღებულია ამონახსნის ზოგადი წარმოდგენის ფორმულები. აგებულია ფუნდამენტურ და სინგულარულ ამონახსნთა მატრიცები ელემენტარული ფუნქციების საშუალებით.

ლიტერატურა

1. Ieshan D., A Theory of Thermoelastic Materials with voids, Acta Mechanica , 60 (1986),67-89.

2. Cowin and Nunziato, Linear theory of elastic materials with voidsJ. Elasticity, vol. 13, pp. 125–147, 1983.

დადუღებული ფენის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის განსაზღვრა მოგორვისას ცოცვადობის თეორიით

გულმირა ბულეკბაევა*, <u>ომარ კიკვიძე**</u>
*შ. ესენოვის სახ. კასპიის ინჟინერინგისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტაუ, ყაზახეთის რესპუბლიკა, miragul@mail.ru
**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქუთაისი, საქართველო, kikvidze61@mail.ru

დადუღების ტექნოლოგიური პროცესით ხდება დეტალების გაცვეთილი ზედაპირების აღდგენა. დადუღებული ფენის მექანიკური მახასიათებლებისა და ზედაპირის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საჭიროა ფენის პლასტიკური დეფორმირება, რაც ხშირად ხორციელდება მოგორვით. მოგორვისას პლასტიკური დეფორმირება წარმოებს ხისტი ცილინდრული გორგოლაჭით, რომელიც ასრულებს ბრტყელ პარალელურ მოძრაობას მუდმივი ხაზოვანი და კუთხური სიჩქარით.

განხილულია მასის ორგანზომილებიანი, დამყარებული, ბლანტ-პლასტიკური დინება განმტკიცების თეორიის საფუძველზე [1]:

$$\sigma_e = a\xi_e^m \kappa^n$$

სადაც $\kappa = \int \xi_e dt$ - ოდკვისტის პარამეტრია, σ_e - ექვივალენტური ძაბვაა, ξ_e - ექვივალენტური დეფორმაციის სიჩქარეა, a, m, n - მასალის მუდმივებია.

წონასწორობის არაწრფივი დიფერენციალური განტოლებები ჩაწერილია დინების სიჩქარის კომპონენტების მიმართ, რომლებშიც შედის ასევე საშუალო ძაბვა [2].

ჩაწერილია სასაზღვრო პირობები განტოლებების რიცხვითი ინტეგრირებისათვის. დინების სიჩქარეების პოვნის შემდეგ სენ-ვენან–ლევი–მიზესის განტოლებებით გამოითვლება ძაბვის დევიატორის კომპონენტები. ამოცანის ამოხსნით განისაზღვრება ფენის დეფორმირებისათვის საჭირო ძალის სიდიდე და გორგოლაჭზე მოქმედი მგრეხი მომენტის სიდიდე, შესაბამისად ტექნოლოგიური პროცესის ენერგეტიკული მახასიათებელი.

ლიტერატურა

1. Малинин Н.Н. Ползучесть в обработке металлов.-М.:Машиностроение, 1986.- 216 с.
2. Киквидзе О.Г., Булекбаева Г.Ж., Кипиани П.Н. Пластическое деформирование наплавленного слоя на плоской поверхности. //Georgian Engineering News, №1 (Vol. 77).-2016.-pp.64-66.

კონფლიქტები და კატასტროფები

გურამ გაბრიჩიძე
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
gabrichgur@gmail.com

მოხსენების მიზანია, შევისწავლოთ ნებისმიერი ვითარების, პროცესის, თუ მდგომარეობის მდგრადი და უკონფლიქტო განვითარების პირობები და მათი რეგულირების შესაძლებლობები.

მექანიკაში მიღებული შედეგების ექსტრაპოლაცია და განზოგადოება საფუძველს იძლევა განვაცხადოთ, რომ ნებისმიერი ვითარება, პროცესი თუ მდგომარეობა შესაძლებელია დავახასიათოთ ორი გლობალური პარამეტრით– სიმრავლის გამაერთიანებელი რაიმე საერთო თვისების შეცვლითა და ამ გაერთიანებაში მონაწილე ობიექტების, თუ სუბიექტების დამოკიდებულებით ამ ცვლილების მიმართ.

ნებისმიერ პროცესში, თუ ვითარებაში, კონფლიქტის წარმოშობის საბაბად მიჩნეულია რაიმე სახის განსხვავებულობა, რომელსაც კარგად აჩვენებს შესაბამისი მათემატიკური მატრიცის წარმოდგენის ახალი, ვექტორული ფორმა.

ჩამოყალიბებულია პირობები, რომლებიც უზრუნველყოფენ უკონფლიქტო პროცესის გარკვეული მიმართულებით მდგრად განვითარებას.

მიღებული შედეგები შედარებულია ადამიანების ურთიერთობის ცნობილ, მაგალითად ე.წ. ოქროს წესთან და თამაშების თანამედროვე თეორიაში განხილულ სხვა მოდელებთან.

ანალიზურ ფუნქციათა ი.ვეკუას თეორია: განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა სივრცე

გრიგორ გიორგაძე
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო, gia.giorgadze@tsu.ge

ანალიზურ ფუნქციათა მეთოდების გავრცელების იდეა ფუნქციათა უფრო ფართო კლასზე სათავეს მე-19 საუკუნიდან იღებს და ფაქტიურად ემთხვევა კომპლექსური ანალიზის როგორც მათემატიკის დამოუკიდებელი დარგის ჩამოყალიბებას. კომპლექსური ანალიზის მეთოდების გავრცელების პირველი მცდელობები დაკავშირებული იყო განზოგადებული კოში-რიმანის განტოლებათა სისტემის ამონახსნთა სივრცის თვისებების შესწავლასთან.

ი. ვეკუასა და ლ. ბერსის ცნობილი მონოგრაფიების შემდეგ განზოგადებული ანალიზური ფუნქციები, ი. ვეკუას ტერმინოლოგიით და ფსევდოანალიზური ფუნქციები, ბერსის აზრით, მსოფლიოს მრავალი წამყვანი მათემატიკური ცენტრის კვლევის ობიექტი გახდა.

მოხსენებაში განხილული იქნება განზოგადებულ ანალიზურ ფუნქციათა თეორიის გამოყენება კონფორმუ-

ლი ველის თეორიაში, კომპლექსური სტრუქტურების დე-ფორმაციის თეორიასა და კვანტური მექანიკის ზუსტად ამოხსნადი ორგანზომილებიანი მოდელების თეორიაში (იხ.[1]).

ლიტერატურა

1. Akhalaia G., Giorgadze G., Kaldani N., Jikia V., Manjavidze N., Makatsaria G. Elliptic systems on Riemann surfaces. Lecture Notes of TICMI, vol. 13, pp.3-154, 2012.

ამწე-სატრანსპორტო და საგზაო მანქანების სამუშაო მოწყობილობების სრულყოფის გზები

ვაჟა გოგაძე
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო,
vajagogadze@rambler.ru, Vazha.gogadze@atsu.edu.ge

მოხსენებაში აღწერილია ამწე-სატრანსპორტო და საგზაო მანქანების სამუშაო მოწყობილობების კინემატიკური და სტრუქტურული კვლევა.

ცნობილია, რომ ამწე-სატრანსპორტო და საგზაო მანქანების სამუშაო მოწყობილობები წარმოადგენს რთულ სივრცით ღეროვან სისტემებს, რომელთა რგოლები სახსრულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. რგოლების შეერთებისას ძირითადად გამოიყენება ცილინდრული სახსრები, რომელთა თავისუფლების ხარისხი ერთის ტოლია და სფერული სახსრები თავისუფლების ხარისხით სამი.

მიზანშეწონილია აღნიშნულ მანქანებში გამოყენებულ იქნას ორმაგი ცილინდრული სახსრები, რომელთა თავისუფლების ხარისხი ორის ტოლია. ორმაგი ცილინდრული სახსრების გამოყენება ზრდის მანქანის ფუნქციონალურ დანიშნულებას, მის მწარმოებლობას, ამარტივებს კონსტრუქციას, რის შედეგადაც იზრდება მანქანის სიმტკიცე და საიმედოობა.

ამწე-სატრანსპორტო და საგზაო მანქანების სამუშაო აღჭურვილობების სტრუქტურულმა კვლევამ აჩვენა, რომ რიგ შემთხვევაში აღნიშნულ კონსტრუქციებში ადგილი აქვს ზედმეტი ბმების არსებობას, რის გამოც რგოლების მოძრაობა სახსრებში ხდება არსებული ღრეჩოების მეშვეობით, ან ლითონის კონსტრუქციების წინასწარ დაძაბული მდგომარეობით, რაც მოითხოვს კონსტრუქციის დამზადების სიზუსტეს და ამცირებს მანქანის სიმტკიცესა და საიმედოობას.

ამიტომ მიზანშეწონილია შეიქმნას ისეთი რაციონალური კონსტრუქციები, რომლებსაც არ გააჩნიათ ზედმეტი ბმები, თვითრეგულირებადია და არ იწვევს სამუშაო აღჭურვილობის ლითონის კონსტრუქციების წინასწარ დაძაბულ მდგომარეობას.

ლიტერატურა

1. ვაჟა გოგაძე, გიორგი გოგაძე, ბულდოზერის სამუშაო აღჭურვილობა, პატენტი P563;
2. ვაჟა გოგაძე, გიორგი გოგაძე, ციცხვიანი სატვირთველი, პატენტი P5696;
3. ვაჟა გოგაძე, თვითსაცვლელი, პატენტი U1552;
4. ვაჟა გოგაძე, გიორგი გოგაძე, სკრეპერის სამუშაო აღჭურვილობა, პატენტი P5634;
5. ვაჟა გოგაძე, მამუკა გოგაძე, ალექსანდრე კვირიკაშვილი, საფხვიერებელი, პატენტი P6335;
6. ვაჟა გოგაძე, გიორგი გოგაძე, მამუკა გოგაძე, ერთციცხვიანი ექსკავატორის სამუშაო აღჭურვილობა, პატენტი P6007;
7. ვაჟა გოგაძე, მამუკა გოგაძე, ბუთხუზ პაჭკორია, ჩანგლებიანი სატვირთველის სამუშაო აღჭურვილობა, პატენტი P6380;
8. ვაჟა გოგაძე, მამუკა გოგაძე, ლედი ირემაძე, ავტოგრეიდერის სამუშაო აღჭურვილობა, პატენტი P6400.

გარსთა თეორიის ერთი ამოცანის ამოხსნა ი. ვეკუას მეთოდით N=3 მიახლოებაში

ბაკურ გულუა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
bak.gulua@gmail.com

განხილულია გეომეტრიულად არაწრფივი არადამრეცი სფერული გარსები ი. ვეკუას N=3 მიახლოებაში. მცირე პარამეტრის მეთოდისა და კომპლექსური ცვლადის ფუნქციების გამოყენებით ამოხსნილია ზოგიერთი ამოცანა.

მადლობა. წინამდებარე ნაშრომი შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი SRNSF/FR/358/5-109/14).

გაზის დინების მოდელირება განშტოებებისა და დახრის მქონე სატრანზიტო მილსადენში

თეიმურაზ დავითაშვილი
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, tedavitashvili@gmail.com

ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელი წარმოადგენს რთულ სისტემას ასობით და ათასობით კილომეტრის მქონე მილსადენებით, საკომპრესიო სადგურებით და სხვა მრავალი მექანიზმებითა და მოწყობილობებით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების სერვისისთვის. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირებისა და განაწილების სისტემაში მომხმარებლისთვის სათანადო პირობების შექმნა ერთ-ერთ პრაქტიკულად მნიშვნელოვან და განსახორციელებლად საკმაოდ რთულ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემის გადაწყვეტის გზაზე გაზის წნევისა და ხარჯის განაწილების განსაზღვრა მთელ მილსადენში ერთ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია. გაზის წნევისა და ხარჯის განაწილების განსაზღვრა დახრისა და განშტოებების მქონე მილსადენში კიდევ უფრო რთულ, მაგრამ მეტად პრაქტიკულ ამოცანას წარმოადგენს. ამ სტატიის მიზანია განშტოებებისა და დახრის მქონე მილსადენში განვსაზღვროთ გაზის წნევისა და ხარჯის განაწილების სივრცულ დროითი მდგომარეობა გამარტივებული ერთ-განზომილებიანი კერძო წარმოებულიანი დიფერენციალური განტოლების საფუძველზე, რომელიც აღწერს გაზის არასტაციონალურ დინებას განშტოებებისა და დახრის მქონე მილსადენში. მოცემულია ანალიზური ამონახსნი გამარტივებული ერთ-განზომილებიანი კერძო წარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებისა, რომელიც აღწერს გაზის არასტაციონალურ დინებას განშტოებებისა და დახრის მქონე მილსადენში. ასევე წარმოდგენილია რიცხვითი თვლის ზოგიერთი შედეგები.

თხელკედლოვანი დრეკადი სტრუქტურებისათვის დაზუსტებულ და იერარქიულ თეორიათა დაფუძნებისა და მდგრადობის შესახებ

თამაზ ვაშაყმაძე,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, tamazvashakmadze@gmail.com

დრეკად გარსთა, ფირფიტათა და ძელოვან სისტემათა შესაბამისი სასრული (თ. ფონ კარმან–ე. რეისნერ რ. მინდლინის ტიპის) და იერარქიული (ი. ვეკუა, ი. ბაბუშკა) მათემატიკური მოდელების მაგალითზე განიხილება მათი დაფუძნებასა და მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები. [1, 2] შრომებზე დაყრდნობით, ნაჩვენები იქნება, რომ აღნიშნული მოდელების აგების ვარიაციული მეთოდების დაფუძნებისათვის არსებითია აპრიორი დასაშვებ ფუნქციათა კლასის განსაზღვრა და საძიებელი ექსტრემალის არსებობა, რაც შესაბამისი პროცესის მდგრადობისათვის, მაგ., ბუნებრივი სასაზღვრო პირობების შემთხვევაში, საკმარისი არ არის და მოითხოვს გარკვეული ტიპის (იხ. მაგ., [3, 4]) კორექციას.

ლიტერატურა

1. Young, L.: Lectures on the Calculus of Variations and Optimal Control Theory, W.R. Sanders Company, 340 pp., Philadelphia-London-Toronto (1969).
2. Vashakmadze, T.: On the Origin of the Theory of Distributions or the Heritage of Andrea Razmadze, Bull. Georg. Natl. Acad. Sci., vol.11, N2, pp. 12-14(2017).
3. Rectorys, K.: Variational Methods in Mathematics, Science and Engineering, Dr. Reidel Publ. Company, 592 pp., Prague (1980).
4. Vashakmadze, T.: The Theory of Anisotropic Elastic Plates, Springer-Sci. + Business Media, B.V., 256 pp (2010).

იმპლანტის ირგვლივ დრუბლისებრი ძვლის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის შესწავლა ოკლუზიური დატვირთვისას

ნათელა ზირაქაშვილი
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, natzira@yahoo.com

მოხსენების მთავარი მიზანია იმპლანტიანი ყბის დრუბლისებრი ძვლის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის მათემატიკური მოდელირება და შესწავლა. დრუბლისებრი ძვალი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მრავალფოროვანი სხეული, სადაც ღარები და ფოროვანი ბლოკები არიან ორგვარი ფოროვანი სისტემის ყველაზე გამოკვეთილი კომპონენტები [1]. დრუბლისებრი ძვალი შედგება მყარი და თხევადი ფაზისაგან. ძვლის მყარი ფაზისათვის წარმოდგენილია განტოლებები, რომლებიც აღწერენ წნევის გავლენას მყარ დეფორმაციაზე ყოველ კომპონენტში და თხევადი ფაზისთვის ჩაწერილია ცალკეული განტოლებები ყოველი კომპონენტისთვის, რომლებიც განსხვავდებიან ფოროვნებითა და გამტარობით [2]. შესწავლილია იმპლანტის მახლობლად ყბის დრუბლისებრი ძვლის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა ოკლუზიური დატვირთვის შემთხვევაში. ამ ამოცანის მათემატიკურ მოდელს წარმოადგენს დრეკადობის თეორიის საკონტაქტო ამოცანა იმპლანტსა და ყბის ძვალს შორის. ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია სასაზღვრო ელემენტთა მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია ფლამანის (სემფ) და ბუსინესკის (სემბ) ამოცანების ამონახსნებზე. განხილულია შემთხვევები, როდესაც იმპლანტის დიამეტრი ტოლია 0.4სმ, 0.6სმ, 0.8სმ და 1სმ. აგებულია ძვალში ძაბვების კონტურები (იზოწირები) და შედარებულია სემფ და სემბ-ით მიღებული შედეგები სხვადასხვა დიამეტრის მქონე იმპლანტებისათვის.

ლიტერატურა

1. Aifantis E.C. On the problem of diffusion in solids. Acta Mech., 37, 265-296, 1980
2. Mao Bai, Derex Elsworth, Jean-Claude Roegiers: Multiporosity \Multipermeability Approach to the Simulation of Naturally Fractured Reservoirs. Water Resources Research, 29 (6), 1621-1633, 1993

დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ერთი ამოცანის შესახებ

გიორგი კაპანაძე
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი თბილისი, საქართველო, kapanadze.49@mail.ru

განხილულია დრეკადობის ბრტყელი თეორიის ნაწილობრივ უცნობსაზღვრიანი ამოცანა (ანუ, რაც იგივეა თანაბრადმტკიცე კონტურის მოძებნის ამოცანა) მართკუთხა ფირფიტისათვის, რომლიდანაც თანაბრადმტკიცე კონტურით (საზღვრის უცნობი ნაწილი) ამოჭრილია გარკვეული ნაწილი. ვგულისხმობთ, რომ საზღვრის სწორხაზოვან მონაკვეთებზე მოქმედებენ მოცემული მთავარი ვექტორის მქონე ნორმალური მკუმშავი ძალვები, ხოლო საზღვრის უცნობი ნაწილი თავისუფალია გარეგანი დატვირთვებისაგან. უცნობი კონტურის თანაბრადსიმტკიცის პირობა გულისხმობს მასზე ტანგენციალური ნორმალური ძაბვის მუდმივობას.

ამოცანის ამოსახსნელად გამოყენებულია კომპლექსური ანალიზის მეთოდები და საძიებელი კომპლექსური პოტენციალები და თანაბრადმტკიცე კონტურის განტოლება აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით).

მადლობა. წინამდებარე მოხსენება შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი SRNSF / FR / 358 / 5-109 / 14).

ზვავისებრი ნაკადების დინამიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება

ტარიელ კვიციანი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო, tarielk@mail.ru

ზვავისებრი ნაკადების დინამიკური პროცესების შესწავლის მიზნით მოყვანილია ცნობები ზვავსაშიშროების პირობებთან დაკავშირებით. კერძოდ, ზვავწარმოქმნის დამოკიდულება ზედაპირის ქანობთან, რომლებიც ზოგად წარმოდგენას იძლევიან ზვავების წარმოშობისა და გავრცელების პროცესებზე და საკმაოდ მნიშვნელოვანნი არიან თეორიულ-რაოდენობრივი შეფასების შექმნისათვის.

თოვლის ზვავების ძირითად ფიზიკურ-მექანიკურ მოდელად აღებულია უწყვეტ დეფორმადი ტანის მოდელი, სადაც სრულად ვლინდება პლასტიკურობის და სიფხვიერის ხასიათი. თოვლის ზვავების დინამიკური პროცესების აღსაწერად გამოყენებულია კომპოზიციური გარემოს (მეწყერ-ჩამონაქცევების) განტოლებათა სისტემა, წარმოდგენილი ჰიდროდინამიკის განტოლებათა ფორმით და მისი ერთგანზომილებიანი ვარიანტი [1]. ეს სისტემები ითვალისწინებენ ფხვიერ და პლასტიკურ თვისებებს და ამის გარდა, პლასტიკურობას, რომელიც მახასიათებელია ბინგამისებრი სითხეებისათვის, დინამიკურ განტოლებებში დაძვრის ზღურბლური დაძაბულობის გათვალისწინების ხარჯზე. მარცვლოვანი ფხვიერი გარემოს პარამეტრების განულების დროს ეს სისტემა ავტომატურად გადადის გენკი-ილიუშინის განტოლებაში, რომელიც აღწერს ე.წ. პლასტიკურ-ბლანტ სითხეებს (ბოჩერ-ბინგამის სითხე), რაც მახასიათებელია „რბილი“ თოვლის ზვავებისათვის, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი სინოტივე.

ამოსავალი ფიზიკურ-მექანიკური მოდელის განტოლებები შედგებიან: ფხვიერი გარემოს ზღვრული მდგომარეობის განტოლებისაგან შინაგანი ხახუნის კუთხით და შეჭიდულობის კოეფიციენტით (კულონ-ტრესკი-სენ-ვენანის პირობა), რომლითაც განისაზღვრება ურთიერთკავშირი მხები და ნორმალური ძაბვების კომპონენტებს შორის, აგრეთვე კავშირი ძაბვების ტენზორის კომპონენტებს შორის, შიგა ხახუნის კუთხით და სიჩქარული დეფორმაციის ტენზორის კომპონენტებს შორის, რომლებიც გვიჩვენებენ დაძვრის დეფორმაციის უდიდესი სიჩქარის მიმართულების თანხვედრას დაცურების წირების ოჯახის ერთერთ მიმართულებასთან (იშლინსკი-გენიევის პირობა), პლიუს პლასტიკურობის გათვალისწინება, რომელიც განპირობებულია თოვლის სინოტივით [1].

ზვავის სხეულის მოდელად აღებულია სასრული ზომების მქონე სხეული. გათვალისწინებულია მისი გეომეტრიული ზომები, მასათა ცენტრისა და ფრონტალური არეების გადაადგილების სიჩქარეებს შორის განსხვავება. მიღებული შედეგები ასრულებენ ისეთი დამხმარე ფაქტორების როლს, რომლის გარეშე შეუძლებელია ამონახსნების სწორი ანალიზი და ინტერპრეტაცია. ეს ეხება ისეთ პარამეტრებს, როგორებიცაა: ზვავის სხეულის სიმაღლე და სიგრძე; მისი გრძივი პროფილის კოორდინატა; ფრონტის სიჩქარე, როგორც მანძილისა და დროის ფუნქცია; წინააღმდეგობებზე ზემოქმედების ძალური პარამეტრები; ცივი ქარების მოქმედება თოვლის საფარზე და ა.შ. რაც არსებით გავლენას ახდენს მიღებული შედეგების უტყუარობის დადგენაში [2,3].

ლიტერატურა

1. კვიციანი ტ. ფერდოს მდგრადობა და ზვავისებრი ნაკადები. გამომცემლობა „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2010. – 140 გვ.
2. Лосов К.С.Некоторые воросы движения лавин и лругих аналогичных явлений. Труды всесоюзного совещания по лавинам.Л.: Гидрометеоиздат, 1978, с 64-69.

3. Москалев Ю.Р. Возникновение и движение лавин Л.: Гидрометеоиздат, 1976 272 с.

ზედაპირის ჩადგმის შესახებ რიმანის 3-განზომილებიან მრავალსახეობაში

თენგიზ მეუნარგია
ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,
tengizmeunargia37@gmail.com

გაუსის არანულოვანი სიმრუდის ზედაპირები წარმოადგენენ რიმანის 2-განზომილებიან მრავალსახეობებს, რომლებიც ჩადგმულია ევკლიდის 3-განზომილებიან სივრცეში. ამის გამო, ამ მრავალსახეობების თვისებებზე შესაძლებელია შეიქმნას საკმარისად ნათელი წარმოდგენები. შემდეგ, ნაჩვენებია, რომ ნებისმიერი რეგულარული ზედაპირი შეიძლება ჩაიდგას რიმანის 3-განზომილებიან მრავალსახეობაში.

მადლობა. წინამდებარე მოხსენება შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი SRNSF/FR/358/5-109/14).

წამახვილებული ფილების ღუნვის დეფორმაციების კვლევა სასრულ ელემენტთა მეთოდით და რედუქციული მეთოდის დამუშავება ანალიზური ფუნქციებით აპროქსიმაციის გამოყენებით

გიორგი ნოზაძე
სსიპ გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტი
g_nozadze@yahoo.com

განხილულია სხვადასხვა სიმრუდის ზედაპირებით შემოსაზღვრული პრიზმული წამახვილებული ფილების ღუნვის დეფორმაციის ამოცანა, რომელთაც გააჩნიათ სიმეტრიის სიბრტყე (იხ., მაგ. [1]). როგორც ცნობილია, ასეთ პირობებში პრიზმული ფილების სამგანზომილებიანი დრეკადობის ამოცანა შესაძლებელია დავიყვანოთ ორ განზომილებიან ბრტყელი დეფორმირებული მდგომარეობის დრეკადობის ამოცანაზე.

დასმულია წამახვილებული ფილის წვეროს, როგორც განსაკუთრებული არის დატვირთვის ამოცანა. სიმარტივისათვის განხილულია სუფთა ღუნვის ამოცანა, როდესაც განსაკუთრებულ არეში (წვეროს მონაკვეთზე) მოდებულია განაწილებული დატვირთვა სიმეტრიის სიბრტყის მართობულად. მიღებულია ამოცანის დისკრეტული ამონახსნი სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით.

მიღებული დისკრეტული შედეგების მიხედვით განხორციელდა სხეულის ფორმის ფუნქციის სათანადო წერტილების მიხედვით გადაადგილების უწყვეტი ფუნქციის აგება ნიშანცვლადი ხარისხოვანი მწკრივებით აპროქსიმაციის გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ სასრული რაოდენობის წევრთა მქონე ნიშანცვლადი ხარისხოვანი მწკრივებით აპროქსიმაცია იძლევა კარგ მიახლოვებას, რათა დრეკადობის ამოცანა გადაიჭრას გადაადგილებებში განსაკუთრებულ არეთა დატვირთვის დროს.

შესრულებული კვლევითი სამუშაოს საფუძველზე ნაჩვენებია, რომ შესაძლებელია დამუშავდეს რედუქციული ანალიზური მეთოდები, რომელთა გამოყენებაც გააუმჯობესებს რთული გეომერტრიული ფორმის მქონე

სხეულების დეფორმაციის კვლევას პრაქტიკაში მისაღები სიზუსტის ფარგლებში.

ლიტერატურა

1. Georg Jaiani – “Cusped Shell-like Structures”, Springer Briefs in Applied Science and Technology, Springer-Heidelberg-Dordrecht-London-New York, 2011, 84 p.

კირხოფის ტიპის ზოგიერთი არაწრფივი ინტეგრო-დიფერენციალური განტოლების მიახლოებითი ამოხსნის ალგორითმებისა და რიცხვითი გათვლების შესახებ

არჩილ პაპუკაშვილი*, გიორგი პაპუკაშვილი**,
ჯემალ ფერაძე***
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი.
**ვ. კომაროვის თბილისის № 199 საჯარო სკოლა,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
***ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო,
archil.papukashvili@tsu.ge, gagapapukashvili@gmail.com,
j_peradze@yahoo.com

განხილულია მიახლოებითი ამოხსნის საკითხები შემდეგი ორი ამოცანისთვის:

1. არაწრფივი სასაზღვრო ამოცანა კირხოფის ტიპის სტატიკური ძელისთვის (იხ. მაგალითად [1], [2]). გრინის ფუნქციების გამოყენებით ამოცანა დაიყვანება არაწრფივ ინტეგრალურ განტოლებაზე, რომლის ამოსახსნელადაც ვიყენებთ პიკარის ტიპის იტერაციულ მეთოდს.

2. არაწრფივი საწყის-სასაზღვრო ამოცანა ჯ. ბოლის დინამიური ძელისთვის (იხ. მაგალითად [3], [4]). ამოცანის ამონახსნი შეიძლება მივიღოთ ალგორითმით, რომლის შემადგენელი ნაწილებია გალიორკინის მეთოდი, სიმეტრიული სხვაობიანი სქემა და იაკობის იტერაციული მეთოდი.

ორივე ამოცანის შემთხვევაში გამოწერილია მიახლოებითი ამოხსნის ახალი სათვლელი ალგორითმები და ჩატარებულია რიცხვითი ექსპერიმენტები. შედეგები წარმოდგენილია ცხრილებისა და გრაფიკების სახით.

ლიტერატურა

1. J.Peradze, A numerical algorithm for a Kirchhoff – type nonlinear static beam. J. Appl. Math. 2009, Art.ID 818269, 12pp.
2. T.F.Ma, Positive solutions for a nonlocal fourth order equation of Kirchhoff type. Discrete Contin. Dyn. Syst. 2007, 694-703.
3. J. M. Ball, Stability Theory for an Extensible Beam, J. Diff. Eq., 14 (1973), 399-418.
4. G.Papukashvili, J.Peradze, Z.Tsiklauri, On a stage of a numerical algorithm for Timoshenko type nonlinear equation, Proc. A.Razmadze Math.Inst., Tbilisi, 158, (2012), 67-77.

რთული ბაგირღეროვანი სტრუქტურების და სხვა მსგავსი სამშენებლო კონსტრუქციების მოდელირება და გაანგარიშება დისკრეტული წარმოდგენისა და სპეციალური ალგორითმის საფუძველზე

დავით პატარაია
გრიგოლ წულუკიძის სახელობის სამთო ინსტიტუტი,
თბილისი, საქართველო, david.pataraia@gmail.com

კვლევის საგანს წარმოადგენს რთული ბაგირღეროვანი სტრუქტურები, როგორიცაა, მაგალითად, საბაგირო გზები, ვანტური ხიდები, კოსმოსური საბაგირო სისტემები და ანტენები, სტადიონების და სხვა დიდი ზომის მქონე ობიექტების დამცავი გადახურვები, ზვავსაწინააღმდეგო

ნაგებობები და შემაკავებელი ბადეები. ზოგადად კი მოცემული პროექტის კვლევის საგანია მსგავსი რთული კონფიგურაციის მყარი დეფორმირებადი ტანების მოდელირება და გაანგარიშება.

სტანდარტული მეთოდებით და პროგრამული უზრუნველყოფით ასეთი ობიექტების მოდელირება და გაანგარიშება ხშირად მნიშვნელოვან პრობლემებთანაა დაკავშირებული ჰისტერეზისის, ფოლხვის, ხახუნის და სხვა არსებითი არაწრფივი დამოკიდებულებების მიზეზით. გარდა ამისა, დიდი განზომილების ობიექტების გაანგარიშება განსაკუთრებით კი, როცა ამავე დროს შედეგების დიდი სიზუსტეა საჭირო, ასევე გაზრდილ და ხშირად ძნელად შესასრულებელ მოთხოვნებს უყენებს გამოთვლით მეთოდებსა და კომპიუტერულ ტექნიკას.

კვლევის აქტუალურობას აგრეთვე განაპირობებს სათანადო უნივერსალური მეთოდებისა და სათვლელი პროგრამული პაკეტების კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად მისადაგებისა და გამოყენების სირთულე, განსაკუთრებით კი, როცა გამოსაკვლევი ობიექტი არაწრფივი მახასიათებლებითაა და თანაც დიდი ზომის.

კვლევის სიახლე მდგომარეობს რთული ბაგირღეროვანი სტრუქტურების სტატიკური და დინამიკური გაანგარიშების ჩვენს მიერ შემუშავებულ მეთოდში, რომელიც ეფუძნება მყარი დეფორმირებადი ტანის დისკრეტულ წარმოდგენასა და სპეციალურ სათვლელ ალგორითმს [1], [2], [3].

შემოთავაზებული მიდგომის საფუძველზე ჩვენს მიერ დამუშავებულია რთული კონფიგურაციისა და არაწრფივი მახასიათებლების მქონე სხეულებისა და სამშენებლო კონსტრუქციების სტატიკური და დინამიკური გაანგარიშების ალგორითმი და სათანადო სათვლელი პროგრამა, რომელთა ეფექტიანობა და საიმედოობა დადასტურდა რეალური ობიექტების მოდელირებით და კონკრეტული გაანგარიშებებით.

მადლობა. წინამდებარე მოხსენების მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებული იყო რუსთაველის ფონდის დაფინანსებითა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივთან და მისი ხელმძღვანელთან პროფესორ გ. ჯაიანთან თანამშრომლობით.

ლიტერატურა

1. David Pataraia. The calculation of rope-rod structures of ropeways on the basis of the new approach.WORLD CONGRESS of O.I.T.A.F., RIO DE JANEIRO, BRAZIL, October, 2011, 24 – 27, PAPERS OF THE CONGRESS; http://www.oitaf.org/Kongress%202011/Referate/Pataraia.pdf
2. D. Pataraia. Ein Beitrag zur diskreten Darstellung des Seiles. Wissenschaftliche Arbeiten des Instituts fuer Eisenbahnwesen, Verkehrswirtschaft und Seilbahnen, Technische Univesitaet Wien, 1981.
3. David Pataraia. Dynamische Analyse und Simulation von Seil-Stab-Strukturen von Seilbahnen auf Basis diskreter Darstellung und sukzessiven Approximationsalgorithmus WORLD CONGRESS of O.I.T.A.F., Bolzano, Italy, 6-9 Juni, 2017 PAPERS OF THE CONGRESS; http://oitaf2017.com/wp-content/uploads/2017/06/oitaf-kongr-bolcano-040617- vort-germ- JN-050617- 2.pdf

მდგრადი რხევის სასაზღვრო ამოცანები ბინარულ ნარევთა ბლანტი თერმოდრეკადობის თეორიაში

მაია სვანაძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, თბილისი 0179, საქართველო,
maia.svanadze@gmail.com

მოხსენებაში განხილულია ბინარულ ნარევთა ბლანტი თერმოდრეკადობის თეორია, როცა ნარევის ერთი კომპონენტი იზოტროპული დრეკადი სხეულია, ხოლო მეორე - კელვინ-ფოიგტის მასალა. გამოკვლეულია ამ თეორიის მდგრადი რხევის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები

და განზოგადებულია ბლანტი თერმოდრეკადობის კლასიკური თეორიის ზოგიერთი ძირითადი შედეგი. ელემენტარული ფუნქციების საშუალებით აგებულია მდგრადი რხევის განტოლებათა სისტემის ფუნდამენტური ამონახსნი. მიღებულია გრინის ფორმულები და რეგულარული ვექტორისა და კლასიკური ამონახსნების ინტეგრალური წარმოდგენები. დამტკიცებულია მდგრადი რხევის შიგა და გარე სასაზღვრო ამოცანების ამონახსნების ერთადერთობა. დადგენილია პოტენციალებისა და სინგულარული ინტეგრალური ოპერატორების ძირითადი თვისებები. ბოლოს, პოტენციალთა მეთოდისა და სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა თეორიის გამოყენებით დამტკიცებულია ზემოთ აღნიშნული ამოცანების ამონახსნების არსებობის თეორემები.

მადლობა. ეს კვლევა შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი # YS15_2.1.1_100).

იაკობის იტერაცია ძელის დინამიური ამოცანისთვის

ჯემალ ფერაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,
თბილისი, საქართველო, e-mail: j_peradze@yahoo.com

განხილულია საწყის სასაზღვრო ამოცანა დიფერენციალური განტოლებისათვის [1, 2]

$$\frac{\partial^2 u}{\partial t^2}(x,t)+\frac{\partial^4 u}{\partial x^4}(x,t)-h\frac{\partial^4 u}{\partial x^2 \partial t^2}(x,t)-\left(\lambda+\int_0^L\left(\frac{\partial u}{\partial \xi}(\xi,t)\right)^2 d\xi\right)\frac{\partial^2 u}{\partial x^2}(x,t)=0,$$

რომელიც აღწერს ძელის დინამიურ მდგომარეობას. სივრცული და დროის ცვლადების მიმართ ამონახსნის მიახლოების შედეგად მიღებულია დისკრეტული განტო-

ლებების არაწრფივი სისტემა, რომლის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაცია. დადგენილია იტერაციის კრებადობის პირობები და შეფასებულია მისი ცდომილება.

ლიტერატურა

1. Henriques de Brito E.: A nonlinear hyperbolic equation, International Journal of Mathematics and Mathematical Sciences, 3(3), 505-520, 1980.
2. Timoshenko S.P., Young D.H., Weaver W.: Vibration problems on engineering. John Wiley & Sons, Inc., 1974.

ტიმოშენკოს ძელისათვის არაწრფივ ალგებრულ განტოლებათა სისტემის ამოხსნის შესახებ

ჯემალ ფერაძე[1,2] , ზვიად ყალიჩავა[1]

[1]ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

[2] საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო

j_peradze@yahoo.com; zviadi.kalichava@gmail.com

განხილულია საწყის-სასაზღვრო ამოცანა არაწრფივი დინამიური ძელისათვის [1, 2]. მიახლოებითი ამონახსნის მისაღებად გამოყენებულია ვარიაციული მეთოდი და სიმეტრიული არაცხადი სხვაობიანი სქემა. დისკრეტიზაციის შედეგად მიღებულ განტოლებათა სისტემის ამოსახსნელად გამოყენებულია იტერაციული მეთოდი და შერმან-მორისონის ფორმულა. შესწავლილია იტერაციული მეთოდის სიზუსტე.

ლიტერატურა

1. Peradze J., On the accuracy of the Galerkin method for a nonlinear dynamic beam equation. Math. Meth. *Appl. Sci.* **34** (2011), no. 14, 1725-1732.
2. Timoshenko S.P., Young D.H., Weaver W., *Vibration problems on engineering*. John Wiley & Sons, Inc., 1974.

წიბოებიანი გარსების ანგარიში სასრულ ელემენტთა მეთოდით

გელა ყიფიანი, სეით ბლიაძე

საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტი, თბილისი, ქეთევან. წამებულის ქ. №,16, 0144, საქართველო. gelakip@gmail.com, khuta60@gmail.com

განხილულია სიხისტის წიბოების მქონე ფირფიტებისა და გარსების თეორიის განვითარების ძირითადი ეტაპები. აღნიშნულია, რომ წიბოების მქონე გარსების თეორია წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დაუსრულებელ და სადავო თეორიას გარსთა ზოგად თეორიაში. მოყვანილია წიბოების მქონე გარსების ანგარიში სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენებით. პირველ შემთხვევაში წიბოები წარმოდგენილია როგორც ძელის სასრული ელემენტი (სე), ხოლო გარსი მოდელირებულია როგორც სე ფირფიტა. მეორე შემთხვევაში გარსიც და წიბოებიც მოდელირებულია როგორც სე ფირფიტა. მესამე შემთხვევაში გარსიც და წიბოებიც მოდელირებულია როგორც სამგანზომილებიანი სე. მეოთხე შემთხვევაში გარსის წიბოები მოდელირებულია როგორც სე ძელი, ხოლო გარსი მოდელირებულია როგორც სამგანზომილებიანი სე. ექსპერიმენტული კვლევა ჩატარდა BS EN ISO 9001 და EN 9100 საერთაშორისო სერტიფიკატების მქონე საწარმოოს სს “თბილავიამშენი”-ს, სიმტკიცის ლაბორატორიაში. მოყვანილია ექსპერიმენტული და თეორიული კვლევების შედეგების შედარებითი ანალიზი. (ცთომილება $\approx 5\%$).

ლიტერატურა

1. Strang G., Fix G. J. An Analysis of the Finite Element Method. Prentice-Hall, inc. 1973.

ელექტროდრეკადობის სასაზღვრო-საკონტაქტო ამოცანა დრეკადი ჩართვისა და ბზარის მქონე უბან-უბან ერთგვაროვანი სიბრტყისათვის

ნუგზარ შავლაყაძე
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, nusha@rmi.ge

განიხილება პიეზო-ელექტრული მასალის უბან-უბან ერთგვაროვანი ფირფიტა, რომელიც შესუსტებულია უსასრულო ბზარით და გამაგრებულია უსასრულო ჩართვით (ძელით), როგორც ნორმალური $p_0(x)$ ინტენსივობის მქონე ძალით დატვირთული ელექტროდი. ბზარის საზღვარზე მოცემულია ნორმალური $q_0(x)$ ძალები და ელექტრული პოტენციალი.

ამოცანა მდგომარეობს ბზარის გახსნის $f(x)$ ფუნქციისა და ნორმალური საკონტაქტო ძაბვის $p(x)$ ნახტომის განსაზღვრაში, აგრეთვე მათი ყოფაქცევის დადგენაში სინგულარული წერტილების მიდამოში.

ჩართვის ელემენტის წონასწორობის განტოლების ძალით გვაქვს

$$\frac{d^2}{dx^2}D(x)\frac{d^2v^{(1)}(x)}{dx^2} = p_0(\mathrm{x}) - p(x), \quad x > 0 \tag{1}$$

და მთელი ჩართვის წონასწორობის განტოლებებს კი აქვთ სახე

$$\int_0^\infty [\mathrm{p}(t) - p_0(t)]dt = 0, \quad \int_0^\infty \mathrm{t}[\mathrm{p}(t) - p_0(t)]dt = 0, \tag{2}$$

სადაც $v^{(1)}(x)$ არის ჩართვის წერტილების ვერტიკალური გადაადგილება, $D(x)$ არის ჩართვის მასალის სიხისტე ღუნვაზე.

ბზარის საზღვარზე გვაქვს

$$\sigma_y^{(2)+}(x) + \sigma_y^{(2)-}(x) = 2q_0(x), \quad x < 0 \tag{3}$$

ორი მასალის გამყოფ საზღვარზე ძალაშია შემდეგი პირობები

$$\begin{aligned} &\sigma_x^{(1)} = \sigma_x^{(2)}, \quad \tau_{xy}^{(1)} = \tau_{xy}^{(2)}, \quad u^{(1)} = u^{(2)}, \quad v^{(1)} = v^{(2)} \\ &E_y^{(1)} = E_y^{(2)}, \quad D_x^{(1)} = D_x^{(2)} \end{aligned} \tag{4}$$

სადაც $\sigma_x^{(j)}(x)$, $\tau_{xy}^{(j)}(x)$ - ძაბვის კომპონენტებია, $u^{(j)}(x)$, $v^{(j)}(x)$, -გადაადგილების კომპონენტები, $E_y^{(j)}(x)$, $D_x^{(j)}(x)$ $(j = 1,2)$ ელექტრული ძაბვის და ინდუქციის ვექტორის კომპონენტებია.

(1-4) პირობების ძალით, შემოვიღებთ რა აღნიშვნას $\psi(t) = f(-t)$, მივიღებთ სინგულარულ ინტეგრალურ განტოლებათა სისტემას უძრავი სინგულარობით [1,2]

$$\frac{d}{dx}\left(\int_0^\infty \left[\frac{\lambda_1}{t-x} + R_1(t,x)\right]p(t)dt + \int_0^\infty R_2(-t,x)\psi(t)dt\right) = \frac{1}{D(x)}\int_0^x dt\int_0^t [p_0(\tau) - p(\tau)]d\tau, \qquad x > 0 \tag{5}$$

$$\int_0^\infty \left[-\frac{\lambda_3}{t-x} + R_4(-t,-x)\right]\psi(t)dt + \int_0^\infty R_3(t,-x)\,\mathrm{p}(t)dt = \mathrm{q}_0(-x), \quad x > 0 \tag{6}$$

(5-6) სისტემის ამოსახსნელად, როდესაც $D(x) = D = const$, $x > 0$, განზოგადოებული ფურიეს გარდაქმნის გამოყენებით [3]

$$F(s) = \frac{1}{\sqrt{2\pi}}\int_{-\infty}^{\infty} \varphi(e^\varsigma)e^{i\varsigma s}d\varsigma,$$

ფუნქციისათვის, სადაც

$$\varphi(x) = \int_0^x dt\int_0^t [p_0(\tau) - p(\tau)]d\tau,$$

მიიღება კარლემანის ტიპის სასაზღვრო ამოცანა ზოლისათვის

$$G(s)F(s+3i) - F(s) = P(s), \qquad -\infty < s < \infty \tag{7}$$

მაშასადამე, განიხილება შემდეგი ამოცანა: ვიპოვოთ ფუნქცია $F(z)$, რომელიც ჰოლომორფულია $0 < \operatorname{Im} z < 3$ ზოლში, ქრობადია უსასრულობაში, უწყვეტად გაგრძელებადია ზოლის საზღვარზე და აკმაყოფილებს (7) პირობას.

ფაქტორიზაციის მეთოდის გამოყენებით ამ ამოცანის ამონახსნი წარმოიდგინება ცხადი სახით [4].

შებრუნებული გარდაქმნით ნორმალური საკონტაქტო ძაბვისათვის მიიღება შემდეგი შეფასება

$$p_0(x) - p(x) = \varphi''(x) = O(x^{-1/2}), \qquad x \to 0+$$

ხოლო ბზარის გახსნის ფუნქციას აქვს შემდეგი ყოფაქცევა

$$f(x) = O(x^{-1/2+\omega}), \qquad x \to 0-, \qquad 0 < \omega < 1/2.$$

ლიტერატურა

1. Parton V. Z., Kudriavzev B. A. Electromagneto-elasticity of piezo-electric and electro-conductive bodies. Moscow, Nauka, 1988. p. 470 .
2. Muskhelishvili N. Singular integral equations. Moscow, Nauka, 1966. p. 591.
3. Gakhov F.D., Cherskii Yu.I. Convolution Type Equation. Moscow, Nauka, 1978. p.296.
4. Bantsuri R. The boundary problems of the theory of analytic functions.// Soobsh. Acad. Nauk. GSSR. 1974. 73(3), p. 549-552.

ორ ფოროვან ცილინდრს შორის არაიზოთერმული დინებების მდგრადობის შესახებ

ლუიზა შაფაქიძე

ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო, luiza@rmi.ge

მოხსენებაში წარმოდგენილია ორ ფოროვან უძრავ ჰორიზონტალურ ცილინდრს შორის ამ ცილინდრების გასწვრივ დატუმბვით შეღწეული სითხის დინებისა და ბრუნვად ფოროვან ვერტიკალურ ცილინდრებს შორის დინებების არამდგრადობისა და ქაოსურ მოძრაობაში გადასვლის ამოცანები. იგულისხმება რომ დინებებზე მოქმედებენ რადიალური დინებები და რადიანული ტემპე-რატურული გრადიენტი.

ლამინარული სითხის სტაციონარული დინება უსასრულო სიგრძის წრიული ფორმის მილში

ვარდენ ცუცქირიძე*, ლევან ჯიქიძე,**,
ეკა ელერდაშვილი*

*მათემატიკის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავა 77,

**საინჟინრო მექანიკისა და მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზის დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავა 77,

btsutskiridze@yahoo.com, levanjikidze@yahoo.com,
Ek.elerdashvili@yahoo.com

შესწავლილია ელექტროგამტარი ბლანტი არაკუმშვა-დი სითხის სტაციონარული დინება უსასრულო სიგრძის მქონე მილში, როდესაც მოქმედებს გარეგანი მაგნიტური ველი. მოძრაობა გამოწვეულია წნევის მუდმივი დაცემით. მიღებულია დასმული ამოცანის ზუსტი ამონახსნები ზო-გადი სახით [1-5].

ლიტერატურა

1. Loitsiansky L.G. Mechanic of a fluid and gas. Moscow: Sciences, 1987. -840 p. (in Russian).
2. Vatazin A. B., Lubimov G. A., Regirer C. A. Magnetohydrodynamic Flow in Channels. Moscow: Nauka, 1970, -672 p. (In Russian).
3. V. Tsutskiridze, L. Jikidze. The conducting liquid flow between porous wells with heat transfer. Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 167, 2015, pp. 73-89, (Engl.).
4. J. Sharikadze, V. Tsutskiridze, L. Jikidze. The flow conducting liquid in magnetohydrodynamics tubes with heat transfer//International Scientific Journal IFToMM “Problems of Mechanics”, Tbilisi, 2011, № 3(44), pp. 63--70.
5. V. Tsutskiridze and L. Jikidze, The nonstationary flow of a conducting fluid a plane pipe in the presence of a transverse magnetic field. Proceedings of A. Razmadze Mathematical Institute Vol. 170, Issue 2, September 2016, pp.280-286, (Engl).

ოპტიკური სოლიტონების არადრეკადი ურთიერთქმედების მოდელირება

ოლეგ ხარშილაძე*,****, ვასილ ბელაშოვი**,
ჯემალ როგავა***, ხათუნა ჩარგაზია***,*
*ფიზიკის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
**ყაზანის ფედერალური უნივერსიტეტი, ყაზანი რუსეთი,
***ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
****მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
oleg.kharshiladze@gmail.com

ინფორმაციის ოპტიკური გადაცემისთვის აქტუალურია ოპტიკურ ბოჭკოში ლაზერული სოლიტონების გავრცელების და ურთიერთქმედების შესწავლა. ეს ურთიერთქმედება მნიშვნელოვნად ცვლის სინათლის ველის მახასიათებლებს და ამახინჯებს გადაცემულ ინფორმაციას. სოლიტონების მართვის თვალსაზრისით აუცილებელია ბოჭკოს დეფექტების, დისპერსიული და არაწრფივობის არაერთგვაროვნებების, გარემოს პარამეტრების არასტაციონალურობის გავლენის შესწავლა სოლიტონების გავრცელებაზე. ამოცანა დაიყვანება სინათლის ველის ამპლიტუდისთვის შრედინგერის არაწრფივ განტოლებაზე სივრცულ კოორდინატზე და დროზე დამოკიდებული კოეფიციენტებით.

ჩატარებული რიცხვითი მოდელირებისათვის გამოყენებული იყო ფიზიკური წევრების მიხედვით განტოლების გახლეჩის ფურიეს მეთოდი, რომელშიც გათვალისწინებულია კოეფიციენტების არაერთგვაროვნება. განტოლება გაყოფილია ორ წრფივ და არაწრფივ ნაწილად და ცალცალკეა განხილული დისპერსიული და არაწრფივი ეფექტები და შესაბამისი ოპერატორები ჩათვლილია კომუტატურებად. სოლიტონების არასტაციონალურ გარემოში გავრცელების შესასწავლად გამოყენებული სასრულ სხვაობიანი მეთოდი არაცხადი სქემით.

რიცხვითი ექსპერიმენტებით ნაჩვენებია, რომ გარემოს არაერთგვაროვნება ცვლის სოლიტონების და სხვა სინათლის იმპულსების ამპლიტუდებს, მათი გავრცელების სიჩქარეებს, მათ რაოდენობას, რაც განპირობებულია არაერთგვაროვან ბოჭკოში მათი არადრეკადი ურთიერთქმედებით. გარემოს არასტაციონალობა ცვლის იმპულსის ფორმას და მის სპექტრალურ თვისებებზე ახდენ გავლენას. გარემოს პარამეტრების მოდულაციის ცვლილებით შესაძლებელია სოლიტონების მიზიდვა-განზიდვის არადრეკადი ურთიერთქმედების ხასიათის ცვლილება. მოდელირებით ნაჩვენებია ოპტიკური სოლიტონების გახლეჩის და შეერთების ეფექტები.

ლიტერატურა

1. Agrawal, G.P. Nonlinear Fiber Optics. – Academic Press, – 2013.
2. Belashov V.Yu., Belashova E.S. Solitons: theory, simulation, applications. Kazan, 2016.
3. Belashov V.Yu., Vladimirov S.V. Solitary Waves in Dispersiv Complex Media. Theory, Simulation, Applications. Springer-Verlag GmbH&Co, 2005.

ფრიქციული ავტორხევების დინამიკური ანალიზი

ოლეგ ხარშილაძე*,***, ხათუნა ჩარგაზია**,***, ნოდარ ვარამაშვილი***, დიმიტრი ამილახვარი*, ლევან დვალი*
*ფიზიკის დეპარტამენტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
**ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
*** მ. ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, საქართველო,
khatuna.chargazia@gmail.com

მიწისძვრა ძირითადად ხასიათდება ფრიქციული დინამიკით, რომელიც იწვევს სტიკ–სლიპ (შეჭიდება–გასრიალება) პროცესებს დედამიწის ქერქში არსებული რღვევების გასწვრივ. მიწისძვრის რეკურენტული სეისმური ციკლი ხასიათდება გრძელპერიოდიანი კვაზი სტატიკური ევოლუციით (ტექტონიკური პროცესები), რომელ-საც ერთვის უეცარი გასრიალების ეფექტი თანმხლები დრეკადი ტალღის გამოსხივებით: მიწისძვრით (სეისმური პროცესები). ნაჩვენებია, რომ ფრიქციული მექანიზმი განაპირობებს არაწრფივ რელაქსაციურ რხევებს.

წარმოდგენილ მოხსენებაში განხილულია არაწრფივი ბურიჯ-კნოპოვის მოდელი ორი და სამი ბლოკის შემთხვევისათვის. ჩატარებულ ექსპერიმენტული კვლევებში გამოვლენილ იქნა არამდგრადობების ტრიგერირების მექანიზმი გასრიალების მოვლენების თანმხლები აკუსტიკური ემისიის ჩანაწერებში. ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევის შედეგების ანალიზი. შესწავლილია მიღებული სიგნალების სპექტრალური თვისებები, რეკურენტული თვისობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები, ვეივლეტ დიაგრამები. ნაჩვენებია, რომ სტიკ-სლიპ მოვლენას სისტემაში ადგილი აქვს მხოლოდ კრიტიკული სიჩქარეების ვიწრო არეში. გარე ზემოქმედებას შეუძლია შეცვალოს სტიკ-სლიპის დინამიკა.

ლიტერატურა

1. N. Varamashvili, T. Chelidze, M. Devidze, Z. Chelidze, V. Chikhladze, A. Surmava, Kh. Chargazia, D. Tefnadze. Mass-movement and seismic processes study using Burridge-Knopoff laboratory and mathematical models. Journal of Georgian Geophysical Society, Issue (A), Physics of Solid Earth, 2015, pp.19-25.
2. Dieterich, J.H. (1979), Modeling of rock friction 1. Experimental results and constitutive equations. Journal of Geophysical Research, 84, B5, 2161-2168.
3. Burridge R. and Knopoff L. 1967. Model and theoretical seismicity. Bulletin of the Seismological Society of America, 57(3): 341-371.
4. Ruina A. 1983. Slip instability and state variable friction laws. Journal of Geophysical Research, 88, 10359-10370.
5. Chelidze T., N. Varamashvili, M. Devidze, Z. Chelidze, V. Chikhladze and T. Matcharashvili (2002), Laboratory study of electromagnetic initiation of slip. Annals of Geophysics, 45, 587-599.

ზოგიერთი სამგანზომილებიანი სასაზღვრო ამოცანა დრეკადი ბინარული ნარევისთვის ორგვარი ფოროვნებით

რომან ჯანჯღავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, თბილისი, საქართველო,
roman.janjgava@gmail.com

მოხსენება ეძღვნება ორგვარი ფოროვნების მქონე დრეკადი სხეულების წონასწორობის წრფივი განტოლებათა სისტემის განხილვას, როცა სხეულის მყარი ჩონჩხი წარმოადგენს ორი იზოტროპული მასალის ნარევს. ამ განტოლებათა სისტემის ზოგადი ამონახსნი წარმოდგენილია ჰარმონიული ფუნქციებისა და მეტაჰარმონიული ფუნქციის საშუალებით. აგებული ზოგადი ამონახსნის საფუძველზე, ცვლადთა განცალების მეთოდის გამოყენებით, ანალიზურად ამოხსნილია სასაზღვრო ამოცანათა კლასი მართკუთხა პარალელეპიპედისათვის.

მადლობა. წინამდებარე მოხსენება შესრულებული იყო შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი SRNSF/FR/358/5-109/14).

ლიტერატურა

1. Natroshvili D. G., Jagmaidze A. Ya., Svanadze M. Zh.: Some problems of the linear theory of elastic mixtures, TSU press, 1986 (in Russian).
2. Khomasuridze N., Janjgava R. Solution of some boundary value thermoelasticity problems for a rectangular parallelepiped taking into account microthermal effects, Meccacica, vol. 51, 2016, 211-221.

CONTENTS

ს ა რ ჩ ე ვ ი

English Editor: Ts. Gabeskiria

Technical editorial board: M. Tevdoradze
M. Sharikadze

ინგლისურის რედაქტორი: ც. გაბესკირია

ტექნიკური სარედაქციო კოლეგია: მ. თევდორაძე
მ. შარიქაძე